



# ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება

### დაბა ქედა



დადგენილება:დ-95.95213631

თარიღი:29/12/2021

### დადგენილება №12

## ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანამდებობის პირთა, საკრებულო აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულო აპარატის სამშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.დ“, „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-6 და მე-8 მუხლების პირველი პუნქტების, მე-19 მუხლის, 34-ე მუხლის მე-6, 6<sup>1</sup> პუნქტების, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების გათვალისწინებით, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანამდებობის პირთა, საკრებულო აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულო აპარატის სამშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად.

### მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო აპარატის სამშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2018 წლის 28 დეკემბრის №50 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო:სსმ, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.134.016293. 04/01/2019).

### მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №51 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო:სსმ, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.134.016294. 04/01/2019).

### მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 01 იანვრიდან.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

